ლურჯი და წითელი ასოები

მოსწავლეები მასწავლებლის მიერ დასახელებულ სიტყვაში შემავალი ასო-ბგერებით ადგენენ ახალ სიტყვებს და აფერადებენ მსგავსს და განსხვავებულ ასოებს.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: წყვილები/ჯგუფები/მთელი კლასი.

რესურსი: დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი; რვეული/ფურცელი, ორი ფერის ფანქარი/კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს სიტყვას და დაწერს დაფაზე (მაგ., სიტყვა „ფოტოაპარატი“), შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ამ სიტყვაში შემავალი ასო-ბგერების გამოყენებით შეადგინონ სხვა სიტყვები.
- მოსწავლეები მასწავლებლის მიერ წინასწარ დათქმული დროის განმავლობაში ჩამოწერენ სიტყვებს.
- დროის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, რომ უკარნახონ მათ მიერ მოფიქრებული სიტყვები და ჩამოწერს დაფაზე (მაგ., „ფოტო“, „პატარა“ და ა.შ.).
- ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე თავად ჩამოწერს იმ სიტყვებსაც, რომელთაც ერთი ან ორი განსხვავებული ასო-ბგერა აქვთ შერეული (მაგ., „ფოსტა“, „პარაშუტი“ და სხვ.).
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სიტყვებს და ამოიცნონ ერთნაირი და განსხვავებული ასოები.
- დაკვირვების შემდეგ მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, როგორ გადაწერონ სიტყვები რვეულში – ერთნაირი ასოები (ანუ ასო-ბგერები, რომლებიც „ფოტოაპარატის“ ასოებს ემთხვევა) ლურჯი ფერით, განსხვავებული – წითლით.
- სამუშაოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განათავსებს სიტყვებს სპეციალურ ცხრილში, რომელიც დაფაზეა დახაზული და/ან მოსწავლეებსაც აქვთ დარიგებული.

ნიმუში

ფოტოაპარატი

იგივე ასოები	ერთი განსხვავებული ასო	ორი განსხვავებული ასო
ფოტო	ჟირაფი	თაფლი
ტორტი	ტომარა	კომპოტი
ფარი	ფარანი	ფანჯარა
არა	პარკი	ტარზანი